

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გათავაზობს “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებებში” (შემდგომში “საერთო დებულებები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. შეიცვალოს საერთო დებულებების 2.1.2.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1.2.3 დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსალოდნელი ჩარჯბეკის, ჯარიმის ან/და ზარალის ანაზღაურების მიზნით გააჩეროს და დაარეზერვოს (კომპანიის ანგარიშ(ებ)ზე შესაბამისი მოცულობის (ოდენობის) თანხის VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის რეგულაციის წესებით განსაზღვრული ვადით ბლოკირება) კომპანიისთვის ჩასარიცხი თანხა

2. საერთო დებულებების 2.1.2 პუნქტს დაემატოს 2.1.2.19 ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

2.1.2.19 ბანკის წინაშე ვალდებულებ(ებ)ის წარმოშობის შემთხვევაში / წარმოშობის შემდგომ, უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის და/ან ინფორმირების გარეშე) კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის (მათ შორის საკომისიოს, პირგასამტეხლოს, კომპანიის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის და ა.შ.) ჩამოწერისას, კონვერტაცია (საჭიროების შემთხვევაში) განახორციელოს თანხ(ებ)ის ჩამოწერის მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით